

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2018 წლის 7 მაისი

ქ. თერჯოლა

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №37 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.126.016240, 29/12/2017 წ.) და თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართის მიხედვით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნინო ჯანელიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	13 237,8	14 185,3	5 905,5	8 279,8	12 766,5	3 905,5	8 861,0
11	გადასახადები	2 298,6	2 276,0	0,0	2 276,0	1 950,0	0,0	1 950,0
13	გრანტები	10 034,9	11 064,2	5 905,5	5 158,7	9 970,2	3 905,5	6 064,7
14	სხვა შემოსავლები	904,3	845,1	0,0	845,1	846,3	0,0	846,3
2	ხარჯები	8 568,4	8 052,3	160,0	7 892,3	8 713,5	160,0	8 553,5
21	შრომის ანაზღაურება	1 984,3	1 574,6	75,4	1 499,2	1 985,6	63,6	1 922,0
22	საქონელი და მომსახურება	964,2	1 095,8	4,0	1 091,8	1 393,1	17,4	1 375,7
23	ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



24	პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	60,0	0,0	60,0
25	სუბსიდიები	4 399,2	4 535,0	76,0	4 459,0	4 209,0	76,0	4 133,0
26	გრანტები	203,7	0,7	0,0	0,7	57,1	0,0	57,1
27	სოციალური უზრუნველყოფა	861,3	726,7	4,6	722,1	833,7	3,0	830,7
28	სხვა ხარჯები	155,7	119,5	0,0	119,5	175,0	0,0	175,0
	საოპერაციო საღდო	4 669,4	6 133,0	5 745,5	387,5	4 053,0	3 745,5	307,5
31	არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 781,1	4 307,0	3 847,2	459,8	7 095,8	5 876,6	1 219,2
311	ზრდა	4 864,4	4 410,0	3 847,2	562,8	7 395,8	5 876,6	1 519,2
312	კლება	83,3	103,0	0,0	103,0	300,0	0,0	300,0
	მთლიანი საღდო	-111,7	1 826,0	1 898,3	-72,3	-3 042,8	-2 131,1	-911,7
	ფინანსური აქტივების ცვლილება	293,5	-152,7	0,0	-152,7	-3 042,8	-2 131,1	-911,7
32	ზრდა	303,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3212	ვალუტა და დეპოზიტები	303,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3213	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3214	სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3215	აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3216	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3217	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3218	სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
32	კლება	10,2	152,7	0,0	152,7	3 042,8	2 131,1	911,7
3222	ვალუტა და დეპოზიტები	0,0	142,5	0,0	142,5	3 042,8	2 131,1	911,7
3223	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3224	სესხები	10,2	10,2	0,0	10,2	0,0	0,0	0,0
3225	აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3226	სადაზღვევო ტექნიკური	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



	რეზერვები							
3227	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3228	სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3	ვალდებულებების ცვლილება	-34,9	-111,3	-30,9	-80,4	0,0	0,0	0,0
33	ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
332	საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
331	საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
32	კლება	34,9	111,3	30,9	80,4	0,0	0,0	0,0
322	საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
321	საშინაო	34,9	111,3	30,9	80,4	0,0	0,0	0,0
		0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	შემოსულობები	13 366,4	14 298,5	5 905,5	8 393,0	13 066,5	3 905,5	9 161,0
1	შემოსავლები	13 237,8	14 185,3	5 905,5	8 279,8	12 766,5	3 905,5	8 861,0
31	არაფინანსური აქტივების კლება	83,3	103,0	0,0	103,0	300,0	0,0	300,0
32	ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	45,3	10,2	0,0	10,2	0,0	0,0	0,0
33	ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	გადასახდელები	13 467,7	12 573,6	4 038,1	8 535,5	16 109,3	6 036,6	10 072,7
2	ხარჯები	8 568,4	8 052,3	160,0	7 892,3	8 713,5	160,0	8 553,5
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4 864,4	4 410,0	3 847,2	562,8	7 395,8	5 876,6	1 519,2
32	არაფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



33	ვალდებულებების კლება	34,9	111,3	30,9	80,4	0,0	0,0	0,0
	ნაშთის ცვლილება	-101,3	1 724,9	1 867,4	-142,5	-3 042,8	-2 131,1	-911,7

მუხლი 3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13066.5 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	13331,3	14298,5	5905,5	8393,0	13066,5	3905,5	9161,0
11	გადასახადები	2298,6	2276,0	0,0	2276,0	1950,0	0,0	1950,0
13	გრანტები	10034,9	11064,2	5905,5	5158,7	9970,2	3905,5	6064,7
14	სხვა შემოსავლები	904,3	845,1	0,0	845,1	846,3	0,0	846,3
31	არაფინანსური აქტივების კლება	83,3	103,0	0,0	103,0	300,0	0,0	300,0
32	ფინანსური აქტივების კლება	10,2	10,2	0	10,2	0	0	0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1950,0 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით.

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
11	გადასახადები	2298,6	2276,0	0,0	2276,0	1950,0	0,0	1950,0
112	საშემოსავლო გადასახადი	563,9	869,7	0,0	869,7	600,0	0,0	600,0
113	ქონების გადასახადი	1734,7	1406,3	0,0	1406,3	1350,0	0,0	1350,0
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1065,8	905,8	0,0	905,8	900,0	0,0	900,0
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	263,5	112,9	0,0	112,9	100,0	0,0	100,0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	9,7	16,0	0,0	16,0	5,0	0,0	5,0
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	46,5	72,6	0,0	72,6	45,0	0,0	45,0



113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	349,2	299,0	0,0	299,0	300,0	0,0	300,0
1136	სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
116	სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 9970.2 ათასი ლარის ოდენობით.

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
13	გრანტები	10034,9	11064,2	5905,5	5158,7	9970,2	3905,5	6064,7
133	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10034,9	11064,2	5905,5	5158,7	9970,2	3905,5	6064,7
1311	ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	6271,1	5318,7	160,0	5158,7	6224,7	160,0	6064,7
	გათანაბრებითი ტრანსფერი	6111,1	5158,7	0,0	5158,7	6064,7	0,0	6064,7
	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160,0	160,0	160,0	0,0	160,0	160,0	0,0
1312	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3763,8	5745,5	5745,5	0,0	3745,5	3745,5	0,0
	რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	2744,7	3855,7	3855,7	0,0	3745,5	3745,5	0,0
	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	895,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	123,8	1889,8	1889,8	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა პროექტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 846.3 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



14	სხვა შემოსავლები	904,3	845,1	0,0	845,1	846,3	0,0	846,3
	პროცენტები	49,8	99,4	0,0	99,4	80,0	0,0	80,0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	320,4	253,2	0,0	253,2	270,0	0,0	270,0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	314,8	251,7	0,0	251,7	270,0	0,0	270,0
	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5,6	1,5	0,0	1,5	0,0	0,0	0,0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	90,2	113,6	0,0	113,6	81,3	0,0	81,3
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	81,4	100,0	0,0	100,0	75,0	0,0	75,0
14222	სანებართვო მოსაკრებელი	13,5	29,1	0,0	29,1	15,0	0,0	15,0
	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	67,9	70,9	0,0	70,9	60,0	0,0	60,0
142216	ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	8,8	13,6	0,0	13,6	6,3	0,0	6,3
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	8,8	13,6	0,0	13,6	6,3	0,0	6,3
143	ჯარიმები, სანქციები და საურავები	344,9	316,6	0,0	316,6	390,0	0,0	390,0
	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	24,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	74,6	62,3	0,0	62,3	25,0	0,0	25,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 16109.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
2	ხარჯები	13432,8	12462,3	4007,2	8455,1	16109,3	6036,6	10072,7
21	შრომის ანაზღაურება	1984,3	1574,6	75,4	1499,2	1985,6	63,6	1922,0
22	საქონელი და მომსახურება	964,2	1095,8	4,0	1091,8	1393,1	17,4	1375,7



24	პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	60,0	0,0	60,0
25	სუბსიდიები	4399,2	4535,0	76,0	4459,0	4209,0	76,0	4133,0
26	გრანტები	203,7	0,7	0,0	0,7	57,1	0,0	57,1
27	სოციალური უზრუნველყოფა	861,3	726,7	4,6	722,1	833,7	3,0	830,7
28	სხვა ხარჯები	155,7	119,5	0,0	119,5	175,0	0,0	175,0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4864,4	4410,0	3847,2	562,8	7395,8	5876,6	1519,2
33	ვალდებულებების კლება	34,9	111,3	30,9	80,4	0,0	0,0	0,0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7395.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	66,4	59,6	0,0	59,6	75,0	0,0	75,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4569,0	4172,4	3673,8	498,6	7281,0	5861,3	1419,7
04 00	განათლება	217,7	178,0	173,4	4,6	39,8	15,3	24,5
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	11,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სულ ჯამი	4864,4	4410,0	3847,2	562,8	7395,8	5876,6	1519,2

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 300.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
31	არაფინანსური აქტივების კლება	83,3	103,0	0,0	103,0	300,0	0,0	300,0



311	ძირითადი აქტივები	3,9	16,7	0,0	16,7	200,0	0,0	200,0
312	მატერიალური მარაგები	12,7	-0,5	0,0	-0,5	0,0	0,0	0,0
314	არაწარმოებული აქტივები	66,7	86,8	0,0	86,8	100,0	0,0	100,0
3141	მიწა	66,7	86,8	0,0	86,8	100,0	0,0	100,0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
32	ფინანსური აქტივების კლება	10,2	10,2	0,0	10,2	0,0	0,0	0,0
321	საშინაო	10,2	10,2	0,0	10,2	0,0	0,0	0,0
324	სესხები	10,2	10,2	0,0	10,2	0,0	0,0	0,0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2690,8	2513,4	0,0	2513,4	3220,8	0,0	3220,8
7011	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2690,8	2513,4	0,0	2513,4	3215,8	0,0	3215,8
70111	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2690,8	2513,4	0,0	2513,4	3165,8	0,0	3165,8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	50,0	0,0	50,0
	სხვა არაკლასიფიცირებული							



7018	საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	0,0	0,0	5,0	0,0	5,0
702	თავდაცვა	109,9	94,0	83,0	11,0	115,0	83,0	32,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3438,2	3611,8	3256,7	355,1	5289,5	4467,6	821,9
7045	ტრანსპორტი	3438,2	3611,8	3256,7	355,1	5289,5	4467,6	821,9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3438,2	3611,8	3256,7	355,1	5289,5	4467,6	821,9
705	გარემოს დაცვა	902,4	1169,1	0,0	1169,1	750,0	0,0	750,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	902,4	1169,1	0,0	1169,1	750,0	0,0	750,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1288,9	795,0	448,0	347,0	2372,2	1393,7	978,5
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	98,7	233,1	118,5	114,6	370,8	3,6	367,2
7063	წყალმომარაგება	47,0	299,0	276,0	23,0	1756,4	1390,1	366,3
7064	გარე განათება	169,9	162,3	0,0	162,3	245,0	0,0	245,0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	973,3	100,6	53,5	47,1	0,0	0,0	0,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	114,3	105,9	76,0	29,9	117,0	76,0	41,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	89,1	82,8	76,0	6,8	80,0	76,0	4,0
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	25,2	23,1	0,0	23,1	37,0	0,0	37,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1661,1	1195,6	0,0	1195,6	1279,3	0,0	1279,3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	786,7	358,7	0,0	358,7	451,3	0,0	451,3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	803,2	784,9	0,0	784,9	773,0	0,0	773,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	71,2	52,0	0,0	52,0	55,0	0,0	55,0
709	განათლება	2316,6	2295,9	173,4	2122,5	2214,8	15,3	2199,5
7091	სკოლამდელი აღზრდა	2117,9	2112,8	173,4	1939,4	2029,8	15,3	2014,5



7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	198,7	183,1	0,0	183,1	185,0	0,0	185,0
710	სოციალური დაცვა	945,5	792,9	1,0	791,9	750,7	1,0	749,7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	68,6	58,2	0,0	58,2	70,2	0,0	70,2
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	530,1	410,6	0,0	410,6	377,0	0,0	377,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	346,8	324,1	1,0	323,1	303,5	1,0	302,5
	სულ	13467,7	12573,6	4038,1	8535,5	16109,3	6036,6	10072,7

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -3037,8 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0.0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 3042.8 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – 5.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 16. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი – 160.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 76.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 83,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 1.0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 17. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა



განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტში დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა მობილიზება. ხოლო შემდგომ – მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით თერჯოლის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა მობილიზება, ხოლო შემდგომ – მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) გზების მშენებლობის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებული მოასფალტებული დაზიანებული გზების შეკეთება და მოხრეშილი გზების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, საგარანტიო თანხების დაფინანსება. ასევე განხორციელდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის გამოფილი დაფინანსების თანადაფინანსება.

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო გზების რეაბილიტაციისათვის დაფინანსება 2675,0 ათასი ლარი. მათ შორის: სოფ. ჩხარი-ძევრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 475,0 ათასი ლარით. ქ.თერჯოლაში რობაქიძის ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა დაფინანსდება 286,3 ათასი ლარით. სოფ. ჭოგნარი-ოდილაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 235,8 ათასი ლარით. სოფელ ეწერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 343,3 ათასი ლარით. თერჯოლა-ახალთერჯოლა-ჩხარის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 475,0 ათასი ლარით. გოდოგანი-ნაგარევი-ბროლისქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 475,0 ათასი ლარით. სოფ. რუფოთში ჭანკვეტაძეების უბანში მდებარე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 384,7 ათასი ლარით;

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, მათ შორის: სახურავების რეაბილიტაცია, წყალ-კანალიზაციის მოწესრიგება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება;

ბ.ა) საბინაო კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-



შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დაწესებულების შენობების სხვადასხვა სახის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, კერძოდ საგარანტიო თანხების დაფინანსება.

ბ.ბ) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული სამელი წყლის მილების შეცვლა, მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 1070,5 ათასი ლარი. მათ შორის: სოფ. სიქთარვაში სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა დაფინანსდება 213,8 ათასი ლარით. სოფ. ზედა სიმონეთში წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაფინანსდება 519,5 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში ჯაბიძის ქუჩაზე სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა დაფინანსდება 188,1 ათასი ლარით და სოფელ ბარდუბანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა დაფინანსდება 149,2 ათასი ლარით.

ბ.გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს დღე-ღამის ნებისმიერ დროს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და სოფლის ცენტრებში ახალი წერტილების მოწყობა.

გ) ა(ა)იპ – თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქის ქუჩების, მოედნების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ცენტრალური საავტომობილო გზის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თვითდინებითი წყალსადენების წყლის სათავე ნაგებობებისა და წყლის სისტემების მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე და დეკორატიული განათების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია, სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ქალაქგამწვანებისა და ქალაქგაფორმების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა. შენობა-ნაგებობების, მიმდებარე ტერიტორიების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის, ტროტუარების გაზონების მოწყობა, მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების წარმოება და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩებისა და ტროტუარების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში – ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

აღნიშნული პროგრამა ფინანსდება სუბსიდირების მუხლით.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს



წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება სუბსიდირების მუხლით, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა. ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მიმდინარე გაზიფიკაციის პროცესის პარალელურად ყველა საბავშვო ბაღის ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის დამონტაჟება და მოხმარებული ბუნებრივი აირის ხარჯების უზრუნველყოფა.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ორგანიზება და მართვა;

ა.ა) სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება. ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა.ბ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“ მოიცავს ცენტრის 26 საბავშვო ბაგა-ბაღს, სადაც ფუნქციონირებს 50 სააღმზრდელო ჯგუფი.

საბავშვო ბაგა-ბაღში დაწყებით განათლებას იღებს 1350 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვებას, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს სუბსიდიის მუხლით. ასევე განხორციელდება არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია.

საბავშვო ბაგა-ბაღების დაფინანსება ხელს შეუწყობს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ინტელექტუალურ-ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას.

ა.გ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია და ახალი ბაღების მშენებლობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება.

ბ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი (პროგრამული კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ – მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, რომელიც ფინანსდება სუბსიდიის მუხლით. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის განათლებას.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. აგრეთვე მოხდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 03)



პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ადგილობრივი სპორტული კლუბები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. აგრეთვე მოხდება წარმატებული სპორტსმენების სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის დაფინანსება.

ა.ბ) ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი საპოვნელა“ (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი საპოვნელა“ 2018 წელს დაფინანსდება ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის“ მიერ.

ა.გ) ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 01 06)

